საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia
LEPL Environmental Information and Education Centre

საქართველო, თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. N6 (+995 032) 2112023 info@eiec.gov.ge www.eiec.gov.ge
0159, #6 M. Gelovani str., Tbilisi, Georgia (+995 032) 2112023 info@eiec.gov.ge www.eiec.gov.ge

N 01/1/1582
07/07/2023

1582-01/1-2-202307071450

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში, გზშ-ის პროცედურის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, შპს "აგროსაწარმო"-ს **მიერ წარდგენილია გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩუმლაყის ტერიტორიაზე არსებული სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი, სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ტექნოლოგიური დანადგარების დამატების და ექსპლუატაციის სკრინინგის პროექტი.**

სკრინინგის განცხადების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე - www.ei.gov.ge. გთხოვთ, დოკუმენტაციასთან დაკავშირებული შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა უზრუნველყოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში **2023 წლის 18 ივლისის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №34 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge.

ასევე, გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად ვალდებულია, უზრუნველყოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა, ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საჯარო განხილვების ჩატარება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიგზავნით პროექტის შესახებ ინფორმაციას თანდართული დოკუმენტაციის სახით და გთხოვთ, უზრუნველყოთ წარმოდგენილი განცხადების განთავსება თქვენი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და ოფიციალურ ვებ-გვერდზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

დანართი: 4 ფაილი (ელექტრონული ვერსია)

პატივისცემით,

თამარ ალადაშვილი

ცენტრის დირექტორი

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი